

**გზაგადასასვლელი
სასაქონლო
სისტემა**

obuyb |

გზამკვლევი სასამართლო სისტემაში მოამზადა სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს იურისტმა, ზურაბ გუნცაძემ.

ასოციაცია მადლობას უხდის უზენაეს სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს გაწეული დახმარებისათვის.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვამართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ინგოროყვას 14,

ტელ: 935841, 922914


ფაქსი: 920596

E-Mail: alpeonline@gol.ge

გზამკვლევის ელექტრონულ ვერსიას იხილავთ ALPE-ს ვებ-გვერდზე:

WWW.SAMARTALI.GE

თავი I	7
1.1. შესავალი	7
1.2. საერთო სასამართლოების მოწყობა	8
1.3. განსჯადობა და კომპეტენცია	11
თავი II - პირველი ინსტანცია	14
2.1. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს თქვენი საქმე?	14
2.2. მხარეების უფლება-მოვალეობები	15
2.3. მხარეების თანასწორუფლებიანობა	16
2.4. გადაწყვეტილება	17
თავი III - მეორე ინსტანცია	21
თავი IV - მესამე ინსტანცია	24
4.1. კასაცია	24
4.2. გადაწყვეტილება	26
4.3. საკასაციო საჩივრის (სააპელაციო საჩივრის) აბსოლუტური საფუძვლები	27
თავი V - სასამართლოს მართვა	28
თავი VI - კერძო საჩივარი	29
6.1. კერძო საჩივარი	29
თავი VII - საქმის მართვა	31
7.1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა და საქმის წარმოების განახლება	31
7.2. ვადა	33
თავი VIII - იურიდიული პირები	35
თავი IX - პროცესუალური მოქმედება იმუხავი	38
ნომუში I. (სასარჩელო განცხადების ფორმა)	38
ნომუში II. (სააპელაციო საჩივრის ფორმა)	40
ნომუში III. (საკასაციო საჩივრის ფორმა)	41
დანართი	42
დანართი I. საერთო სასამართლოების საკონტაქტო მონაცემები	43
დანართი II. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება	50



1.1. შესავალი

მიზანი

წიგნის „გზამკვლევი სასამართლო სისტემაში“ მიზანია, გაუადვილოს მოქალაქეს კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს საშუალებით განხორციელება. გზამკვლევი მკითხველს დაეხმარება უკეთ გაეცნოს საქართველოს სასამართლო სისტემას, მის სტრუქტურასა და პროცესუალურ მოქმედებათა წესებს. ის განკუთვნილია მოსახლეობის ფართო ფენებისთვის და მასში სასამართლოსთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპებია გადმოცემული. ეს გამოცემა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებს მიმოიხილავს. სისხლის და საკონსტიტუციო სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ გზამკვლევს მკითხველს ცალკე შევთავაზებთ. ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვემარტივებინა სამართლის ენა. წიგნში იხილავთ სამოქალაქო საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებსა და მათი განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკულ რჩევებს.

ბროშურაში თანდართული სახით იხილავთ ნიმუშებს, რათა გაერკვეთ, თუ როგორ უნდა დაინეროს სხვადასხვა პროცესუალური დოკუმენტი (სასარჩელო განცხადება, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები), ასევე, გაეცნობით იურიდიული პირების სასამართლოში რეგისტრაციის წესს (შპს, სს, კს, კავშირი).

1.2. საერთო სასამართლოების მოწყობა

საქართველოს სასამართლო სისტემა აგებულია მსოფლიოში აპრობირებული სასამართლო სისტემებისა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საფუძველზე. სასამართლო ხელისუფლების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონები საერთო სასამართლოების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა დაცულია და მისი ხელყოფა ისჯება კანონით.

თუ თქვენ წინაშე დადგა პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივ დავასთან, მორალური ან მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან, კომერციული (შპს, სააქციო საზოგადოება) და არაკომერციული იურიდიული პირების (კავშირი, ფონდი) რეგისტრაციასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენასა და სხვა სამოქალაქო უფლებების განხორციელებასთან, უნდა მიმართოთ საერთო სასამართლოებს. საერთო სასამართლოები, აგრეთვე, განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებსა და ადმინისტრაციულ დავებს.

საერთო სასამართლოები სამი საფეხურისაგან ანუ ინსტანციისაგან შედგება, რომელთაგან:

- პირველი ინსტანციის სასამართლოები არსებითად განიხილავენ საქმეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება.
- მეორე, იგივე სააპელაციო ინსტანციაში შესაძლებელია გაასაჩივროთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.
- მესამე, იგივე საკასაციო, რომელიც საბოლოო ინსტანციის სასამართლოა და გადასინჯავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საქართველოს საერთო სასამართლოებია:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლო;
- საოლქო სასამართლო;
- აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოები;

- უზენაესი სასამართლო.
- ინსტანციების მიხედვით საერთო სასამართლოები შემდეგნაირად იყოფიან:

I ინსტანცია

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები; თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების კოლეგიები; აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია.

II ინსტანცია — აპელაცია

თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სააპელაციო პალატები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სააპელაციო პალატები.

III ინსტანცია — კასაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა.

რაიონული სასამართლო

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები წარმოადგენენ საერთო სასამართლოების ყველაზე დაბალ რგოლს — პირველ ინსტანციას, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთი მოსამართლის მონაწილეობით. რაიონული სასამართლოები ფუნქციონირებენ საქართველოს რაიონებში და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან არცერთ რაიონში, აგრეთვე, ქალაქს რაიონებში. საქართველოში სულ 75 რაიონული სასამართლოა.

საოლქო სასამართლო

საქართველოში ორი ასეთი სასამართლოა; ესენია ქუთაისისა და თბილისის საოლქო სასამართლოები. საოლქო, რაიონულის მსგავსად, წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც საქმე კოლეგიურად, სამი მოსამართლის მიერ განიხილება. საოლქო სასამართლოებში ფუნქციონირებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიები.

საოლქო სასამართლოებში შექმნილია სააპელაციო პალატა, რომელიც მეორე ინსტანციით, აპელაციის წესით, განიხილავს რაიონულ (საქალაქო) გადაწყვეტილებას.

აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოები

აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები, საოლქო სასამართლოს მსგავსად, დაეებს პირველი ინსტანციით ისმენენ. ხოლო პალატები აპელაციის წესით განიხილავენ საჩივრებს მათი ქვემდებარე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

უზენაესი სასამართლო ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში. უზენაეს სასამართლოში მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით. უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატები სამი წევრის შემადგენლობით საკასაციო წესით იხილავენ საჩივრებს სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. უზენაესი სასამართლოს მუშაობას უძღვება თავმჯდომარე, რომელსაც პრეზიდენტის წარდგინებით ათი წლის ვადით ირჩევს პარლამენტი. საქართველოს უზენაესი სასამართლო მდებარეობს თბილისში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს დიდი პალატა, რომელიც 9 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს ყველა კატეგორიის განსაკუთრებით მძიმე და რთულ საქმეებს.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი უფლებების დასაცავად მოითხოვოს დამოუკიდებელი და მიუხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და სავარაოდ განხილვა.“

1.3. განსჯადობა და კომპიტენცია

სადაო საკითხის მოცულობისა და შინაარსის მიხედვით, საქმეები სხვადასხვა სასამართლოს განსჯადობას მიეკუთვნება, თუმცა უცვლელი რჩება პრინციპი, რომ ყოველი საქმე თავდაპირველად პირველმა ინსტანციამ უნდა განიხილოს. ძირითადად, საქმეების განხილვა რაიონულ სასამართლოში იწყება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო დავის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება, ან უკავშირდება ინტელექტუალურ საკუთრებას, მას განიხილავს საოლქო სასამართლოს, ან აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები. პირს, რომელსაც სურს თავისი უფლებები სასამართლო წესით დაიცვას, სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა მიმართოს. (მაგ. თუ პირი, რომელსაც თქვენი ვალი მართებს, რომელსაც არ გიბრუნებთ და ის ცხოვრობს გლდანის რაიონში, სარჩელით მოვალის მიმართ ვალის დაბრუნების შესახებ უნდა მიმართოთ გლდან-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს).

I ინსტანციის სასამართლოები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები;
 2. თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები;
 3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია.
-
1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები განიხილავენ:
 - დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობების საფუძველზე;

- საქმეებს რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავების შესახებ;
- უდავო წარმოების საქმეებს;
- საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, იმ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები;
- სისხლის სამართლის საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის თაობაზე, გარდა იმ დანაშაულებისა, რომლებსაც განიხილავენ საქართველოს უზენაესი სასამართლო, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი და საოლქო სასამართლოები;
- ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, საკრებულოს დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მერიის სამშენებლო ფირმასთან შეთანხმების კანონიერების საკითხის გარკვევა, ან საქენერგოს მიერ მოქალაქესათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და ა.შ.
- კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

2. საოლქო, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიები განიხილავენ:

- ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებს;
- დავებს, რომელთა ღირებულება აღემატება 500 000 ლარს;
- ადმინისტრაციულ საქმეებს, მაგრამ, რაიონული სასამართლოებისგან განსხვავებით, საოლქო სასამართლოს კოლეგიას შეუძლია იმსჯელოს უკვე პრეზიდენტის ბრძანებულების ან სხვა სახის აქტის კანონიერების თაობაზე, აგრეთვე, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებისა და მხარეებში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. ეს ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის აქტებზეც. საოლქო სასამართლოს კომპეტენციაა, ასევე, კანონით გათვა-

ლისწინებული ლიცენზიის გაცემის, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის ან ჩამორთმევის შესახებ საქმეების განხილვაც;

- კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს.

3. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია განიხილავს კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთი კატეგორიის განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს. მაგალითად, სახელმწიფოს ღალატი, ტერორისტული აქტი, მკვლელობა — ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში და სხვა.





თავი II

პირველი ინსტანცია

2.1. რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს თქვენი საქმე?

პირველი ინსტანციით (რაიონული ან საქალაქო სასამართლოები, საოლქო სასამართლოს კოლეგიები, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები) საქმის განხილვის საფუძველია განცხადება (სასარჩელო განცხადება), რომლის ფორმაც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით (იხ. დამატება. ნიმუში 1). გარდა ამისა, მოსარჩელეს უფლება აქვს სასარჩელო განცხადებაში ჩამოაყალიბოს შემდეგი მოთხოვნები სასამართლოს მიმართ:

- დაევალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს;
- მიეცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში მითითებული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

მხარეების უფლება-მოვალეობები

— დროულად შეატყობინონ და სასამართლო სხდომაზე გამოიძახონ მონაწილეები, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

სასარჩელო განცხადება არ მიიჩნევა სრულყოფილად, თუ:

- ა) ის (თანდართული საბუთებით) სასამართლოს არ წარუდგინა იმდენი ასლით, რამდენი მოპასუხეცაა;
- ბ) მას თან არ დაერთო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2. მხარეების უფლება-მოვალეობები:

სახელმწიფო ბაჟი

იმისათვის, რათა სასამართლომ განიხილოს თქვენი სამოქალაქო საქმე, თქვენ უნდა გადაიხადოთ სახელმწიფო ბაჟი.

- პირველი ინსტანციით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 2.5%-ს;
- სააპელაციო საჩივრისათვის — სადავო საგნის ღირებულების 3%-ს;
- საკასაციო საჩივრისათვის — სადავო საგნის ღირებულების 4%-ს;
- დავალიანების ამოღების შესახებ გადახდის ბრძანების მიღებისათვის — სადავო საგნის ღირებულების 1.5%-ს;
- კერძო საჩივრისათვის — სადავო საგნის ღირებულების 1.5%-ს;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შესაბამისი პროცესის არსებობის შემთხვევაში (მაგ. მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით), მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, ბაჟის შემცირება, გადავადება ან განწილვა.

დაცვის უფლება

სასამართლოში დაცვის უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და კანონით.

2.3. მხარეების თანასწორუფლებიანობა

სასამართლოში საქმის წარმოებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლება-მოვალეობებით. თქვენ, ისევე როგორც მოწინააღმდეგე მხარეს, უფლება გაქვთ:

1. გაეცნოთ საქმის მასალებს, გააკეთოთ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოთ ასლები, განაცხადოთ აცილება, წარადგინოთ მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოთ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვათ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოთ შუამდგომლობები, მისცეთ სასამართლოს წერილობითი ან ზეპირი ახსნა-განმარტებები, წარადგინოთ თქვენი დასკვნები და გამოთქვათ მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, აგრეთვე, უარყოთ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივროთ სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინებები.
2. სანამ დამთავრდება საქმის მომზადება წინასწარი განხილვისათვის, შეცვალოთ სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოთ ან შეამციროთ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლო ვალდებულია აცნობოს მოპასუხეს.
3. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისთვის.

შეგებებული სარჩელი

მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის წინასწარი განხილვისთვის მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი მხოლოდ სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე, თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გადაცილებას.

თუ შეგებებული სარჩელი აღძრა და მიღებულ იქნა საქმის

წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელეს თხოვნით, ან სასამართლოს ინიციატივით შესაძლებელია ამ საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება.

საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი.

მოსამართლე

მოსამართლემ სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის ვადაში უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ განჩინება გამოტანილი არ იქნება აღნიშნულ ვადაში, მაშინ ეს შესაძლებელია ვადის გასვლის შემდეგ.

მოსამართლემ შეიძლება დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს საქმის განხილვა, შესაძლებელი გახდეს საქმის სწორად გადანყვეტა ან საქმის დამთავრება ერთ სასამართლო სხდომაზე.

დავის არსებითი გადანყვეტის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადანყვეტილება. სასამართლოს არა აქვს უფლება თავისი გადანყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს იმაზე მეტი, ვიდრე ის სარჩელით მოითხოვდა, ან ის, რაც მას არ მოუთხოვია სარჩელით.

მოსამართლე ვალდებულია სასარჩელო განცხადების მიღებიდან ორი თვის განმავლობაში განიხილოს საქმე და გამოიტანოს გადანყვეტილება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება აქვს ეს ვადა სამი თვით გააგრძელოს.

2.4. გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება შეიძლება იყოს:

1. **წაწილობრივი** — თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადანყვეტილების გამოსატანად;
2. **წინასწარი (შუალედური)** — თუ სადაოა სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, ან მისი მოცულობა, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შეს-

ვლის შემდეგ მას ექნება სავალდებულო ძალა სასამართლოს მეორე გადანწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს. (მაგ: მოპასუხისგან თქვენ მოითხოვდით გატეხილი ნივთის სანაცვლოდ თქვენთვის გადაეხადა რაღაც თანხა, რომელიც ბევრად მეტი იყო ნივთის თვითღირებულებაზე. სასამართლომ დააკისრა მოპასუხეს თანხის გადახდა, თუმცა ამ თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს სასამართლოს მეორე გადანწყვეტილებით).

3. **დამატებითი** — რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით:

- ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი, მისცეს ახსნა-განმარტებანი და გადანწყვეტილება არ გამოტანილა;
- ბ) თუკი სასამართლოს, რომელმაც გადანწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;
- გ) თუკი სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

დამატებითი გადანწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნას სასამართლო გადანწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ არის დაშვებული.

4. **დაუსწრებელი** — თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ან მოპასუხე, რომელთაც შეტყობინება გაეგზავნათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

დაუსწრებელი გადანწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადანწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

თუ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადანწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლოს გამოაქვს ახალი გადანწყვეტილება, რომელიც შეიძლება გაუქმდეს სააპელაციო ინსტანციით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს როგორც ახალი გადანწყვეტილება, ისე განჩინება, შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით, ხოლო საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადანწყვეტილება და განჩინება — საკასაციო წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში თუ:

- დაუშვებელია სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება;
- გადანწყვეტილება შესაბამისი წესის დაცვით არ გასაჩივრდა სააპელაციო გასაჩივრების ვადის გასვლამდე;
- გადანწყვეტილება გასაჩივრდა, მაგრამ იგი ძალაში იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლოების მიერ;
- საკასაციო სასამართლოს გადანწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

თუკი სასამართლო გადანწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლე პირებს, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადაო გახადონ სხვა, პროცესში გადანწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

გადანწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.

მხარეთა თხოვნით სასამართლოს დაუყოვნებლივ, მთლიანად ან ნაწილობრივ აღსასრულებლად შეიძლება გადაეცეს გადანწყვეტილებები, დაკავშირებული:

- ალიმენტის მიკუთვნებასთან;
- დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრებასთან;
- მუშაკისათვის არა უმეტეს სამი თვის ხელფასის მიკუთვნებასთან;
- უკანონოდ დათხოვილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენასთან;
- დაუსწრებელ გადანწყვეტილებებთან;

- თამასუქსა და ჩევის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებთან;
- ყველა სხვა საქმესთან, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მონინალმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვების საკითხი განხილულ უნდა იქნას სასამართლო სხდომაზე. მხარეებს უნდა ეცნობოთ სხდომის დღე და ადგილი, თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის გადაწყვეტას.



თავი III

მეორე ინსტანცია — აპელაცია

II ინსტანცია (აპელაცია) — თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სააპელაციო პალატები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სააპელაციო პალატები.

გადაწყვეტილების გადმოცემის მომენტიდან (თუ არ ესწრებოდი სასამართლოს იმ სხდომას, რომელზედაც გამოცხადდა დასაბუთებული გადაწყვეტილება) უფლება გაქვთ ერთი თვის ვადაში შეიტანოთ სააპელაციო საჩივარი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება, თუ მისი ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს ერთ-ერთ მხარეს, ან მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით.

აპელანტმა სააპელაციო საჩივარი უნდა შეიტანოს იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, რის შემდეგაც, თუ საჩივარი კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არის შედგენილი, საქმე დაუყოვნებლივ ეგზავნება სააპელაციო სასამართლოს. (იხ. ნომუმი 2)

თუ სააპელაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევით არის შედგენილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს გამოასწოროს ხარვეზები გარკვეულ ვადაში. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

სააპელაციო სასამართლო საჩივრის შემოსვლიდან ათი დღის განმავლობაში ამოწმებს, თუ რამდენად დასაშვებია სააპელაციო საჩივარი. თუ იგი მიიჩნევს, რომ საჩივარი დასაშვებია, დაიწყება საქმის განხილვა.

სააპელაციო (II ინსტანციის) სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, როგორც ამას მოითხოვენ მხარეები.


სააპელაციო სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და უბრუნებს მას საქმეს ხელახლა განსახილველად, თუ:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუხსრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან ეს მოხდა მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუკი ასეთი წარმომადგენლის არსებობა კანონით იყო გათვალისწინებული (მაგ: მხარე არასრულწლოვანია, ხოლო მისი წარმომადგენელი არ ესწრებოდა სხდომას). თუ კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას მისი მონაწილეობის გარეშე, მაშინ დარღვევას ადგილი არ აქვს;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომლის განხილვა უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე მხარეთა დაუხსრებლად, რომლის დროსაც დაირღვა პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

- გადაწყვეტილებას ხელს აწერს ის მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი;
- გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუხსრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუხსრებელი გადაწყვეტილებაა.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ დააბრუნოს საქმე და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.





თავი IV

მესამე ინსტანცია — ქასაცია

4.1. ქასაცია

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება გაასაჩივრონ საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს. კასატორის მიერ საჩივრის შეტანა საკასაციო სასამართლოში უნდა მოხდეს კანონით დადგენილ ვადებში (ერთი თვე).

საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ღირებულების მოცულობა ეჭვს იწვევს, მაშინ საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება უნდა დაადასტუროს.

საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება წერილობითი ფორმით იმ სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;

- ბ) საჩივრის შემტანი პირის სახელს, გვარს და მისამართს;
- გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;
- დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- ე) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზებს) და განმარტებას იმის თაობაზე, თუ რას მოითხოვს მომჩივანი — გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი);
- ვ) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუკი საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;
- ზ) საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;
- თ) საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამტკიცებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება ორივე მხარისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ, სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარსა და მთლიანად საქმეს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება საკასაციო წესით გაასაჩივროს იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებითი

დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. ამ გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოში ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ არსებობდა სათანადო სამართლებრივი წინამძღვრები.

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მიზეზს, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- არასწორედ განმარტა კანონი.

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

4.2. გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. ის უფლება-მოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

- ა) არა აქვს ადგილი მითითებულ კანონდარღვევას;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

- საკასაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.
- საკასაციო სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამოწმებს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით. აქ არ ხდება ახალი მტკიცებულებებისა და ფაქ-


ტობრივი გარემოებების გამოკვლევა.

- საკასაციო საჩივარი შეიძლება განხილულ იქნას ზეპირი მოსმენის გარეშე.
- საკასაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.
- საკასაციო სასამართლოში განხილვის შემდეგ საქმე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად უკან უნდა დაუბრუნდეს საქმის განმხილველ სასამართლოს.

4.3. საკასაციო საჩივრის (აბრეშვი, სააპელაციო საჩივრის) აპელაციური საფუძველი

ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ:

- ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს (აპელაციის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს) სხდომის ოქმი.



თავი V

სასამართლო განჩინება

სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.

განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) განჩინების მიღების დრო და ადგილი;
- ბ) განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;
- გ) მხარეები და დავის საგანი;
- დ) საკითხი, რომელზედაც მიღებულ უნდა იქნას განჩინება;
- ე) მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა;
- ვ) სასამართლოს დადგენილება;
- ზ) განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

მხარეებს, რომლებიც არ ესწრებიან განჩინების გამოცხადებას, ეგზავნებათ განჩინების ასლები მისი გამოტანიდან არაუგვიანეს 5 დღისა იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ეხება **საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას, ან საქმის წარმოების შეჩერებას.**



თავი VI

კერძო საჩივარი

სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. მისი შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს 5 დღის განმავლობაში.

კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული

საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს, ან სააპელაციო სასამართლოს, თუ კერძო საჩივარი მას გადაეგზავნა.

